

შპს „სვიიტსტარი“-ს 31 დეკემბრით დასრულებული 2022 წლის ფინანსური
ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	163 343	158 353	75 597	3.1.
საეკსპო მითხოვნიები	47 394	50 625	76 813	3.2.
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	46 676	39 780	9 591	3.3.
მარაგები	461 371	352 342	566 164	3.4.
- მზა პროდუქცია	25 029	34 343	30 074	3.4.
- სხვა	436 342	317 999	536 090	3.4.
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	412	166	37 614	3.5.
ზოილოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	1 301	2 369	2 707	3.7.
ძირითადი საშუალებები	975 612	1 101 186	1 023 832	3.6.
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1 696 109	1 704 821	1 792 318	
ვალდებულებები				
ფინანსური ვალდებულება				
საეკსპო ვალდებულებები	10 319	18 979	14 931	3.8.
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	1 107	26 611	6 105	3.09.
გამოუმუშავებელი შემოსავალი	552			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	823 051	245 923	236 540	3.10.
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		660 331	955 196	3.11.
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	46 000	20	20	3.12.
სულ ვალდებულებები	881 029	951 864	1 212 792	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')				
საემისიო შემოსავალი		67 000	25 000	3.13
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	815 080	685 957	554 526	3.13.
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	815 080	752 957	579 526	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 696 109	1 704 821	1 792 318	

შპს „სვიტსტარის“ დირექტორი

ანზორ სულაური

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	2 103 354	1 856 338	3.14.
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
	2 103 354	1 856 338	3.14.
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები	(1 593 513)	(1 326 251)	3.14.
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
ხაერთო მოგება			
სხვა შემოსავალი	509 841	530 087	
დასაქმებულთა ანაზღაურება			
ცვეთა და ამორტიზაცია	(210 992)	(217 312)	3.17.
საპროცენტო შემოსავალი	(15 774)	(16 822)	3.17.
საპროცენტო ხარჯი :			
ოჯარის ხარჯი	(69 783)	(84 116)	3.18.
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(70 323)	(80 339)	3.17.
	(77 895)	(68 381)	3.17.
სულ საოპერაციო ხარჯები	(444 767)	(466 970)	
საოპერაციო მოგება	65 074	63 117	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			
მიღებული დივიდენდები	104 757	56 318	3.15., 3.18.
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(41 227)	21 270	3.15., 3.18.
მოგება/(ხარჯი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძოებითი ოპერაციებ	128 604	140 705	
მოგების გადასახადი			
მოგება/(ხარჯი)	128 604	140 705	
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი):			
მირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ხარჯი)	128 604	140 705	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	752 957	579 526	
ახალი აქტივების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		42 000	3.13.
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(5 263)	3.13.
კაპიტალის სხვა ცვლილებები	519	(4 011)	3.10, 3.13.
	(67 000)		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	815 080	752 957	3.13.

შპს „სევიტსტარის“ დირექტორი

ანზორ სულიაური

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სვიტსტარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2005 წლის 11 აპრილს გლდან-ნაძალადევის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 1/4-595. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 200132640, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ. #17. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2006 წლის 1 ივნისს.

1.2. კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია ანზორ სულიაური (პ.ნ. 01001019709), 40%-იანი წილის მფლობელი თინათინ კირვალიძე (პ.ნ. 01018005257) და 10% წილის მფლობელი თეიმურაზ კურცხალია (პ.ნ. 01017011597)

1.3. კომპანიის დირექტორია ანზორ სულიაური (პ.ნ. 01001019709).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ორცხობილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება.

1.5. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 20%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 25%;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 20%;

ინვენტარი - 10%;

სპეციალური ინსტრუმენტები - 20%;

სატრანსპორტო საშუალებები - 20%;

სხვა ავტოტრანსპორტი - 20%;

სხვა ძირითადი საშუალებები - 20%;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%;

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები - 50%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

2022 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	418	4800	14711
ლარი საბანკო ანგარიშებზე	25014	108365	4911
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	137866	45085	55850
ევროები საბანკო ანგარიშებზე	45	103	125
სულ:	163343	158353	75597

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	47394	64321	90509
საექვო მოთხოვნების კორექტირება		-13696	-13696
სულ:	47394	50625	76813

საწარმომ 2022 წლის ბოლოს 2018 წელიდან საექვო ვალების მქონე დებიტორების აღიარება შეწყვიტა, რომელიც შედგებოდა 3 რეზიდენტი იურიდიული და 2 ფიზიკური პირისაგან. დანარჩენი დებიტორები შეადგენენ 69 ფიზიკურ და 96 იურიდიულ პირს.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	3358	28	201
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	43318	34117	9390
სულ:	46676	34145	9591

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	6083	6083	6083
წედლეული და მასალები	427723	310811	529784
მზა პროდუქცია	25029	34344	30074
საწვავ-საცხები მასალები	1562	1062	61
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	974	42	162
სულ:	461371	352342	566164

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება ავტომანქანების სათადარიგო სარემონტო და სამეურნეო მასალებისაგან.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
წინასწარ ანაზღაურებული მომოსახურებები	412	39614	
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	23102	166	37614
სულ:	23514	39780	37614

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.321 (501.8 კვმ)	35126.00	35126.00	35126.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის ქ. №28, არასასოფლო -სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.390)	36877.00	36877.00	36877.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის 2 შესახვევი 7ბ,		45722.00	45722.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი მონადირის ქუჩა №28 ,	32788.00	32788.00	32788.00
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი ,გლდანი ავშნიანი არასასოფლო -სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.318)	31219.00	31219.00	
მიწის ნაკვეთი (ქ.თბილისი ,გლდანი ავშნიანი არასასოფლო -სამეურნეო, (ს/კ 72.13.42.608) 210 კვ.მ)	58920.00	58920.00	
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.322 (583 კვმ)	40810.00	40810.00	40810.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.325 (934.2 კვმ)	65394.00	65394.00	65394.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.324 (978.9 კვმ)	97890.00	97890.00	97890.00
მიწა ქ.თბილისი გლდანი ავშნიანი საკ.კოდი 72.13.42.317 (702.9 კვმ)		70290.00	70290.00
მიწის ნაკვეთი (ავშნიანი 9, არასასოფლო-სამეურნეო ს/კ 72.13.42.388) (497 კვმ)	67100.00	67100.00	67100.00
მიწის ნაკვეთი (ავშნიანი 9, არასასოფლო-სამეურნეო ს/კ 72.13.42.326) (438.8 კვმ)	59240.00	59240.00	59240.00
მიწის ნაკვეთი (ბარისახოს ქ. №11ბ, არასასოფლო- სამეურნეო, ს/კ 01.11.01.017.162) (3584 კვმ)	224267	224267	224267
სულ:	749631	865643	775504

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
დაუმთავრებელი მშენებლობა	162756	160240	160240
მანქანა დანადგარები	22754	28443	33507
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	1032	1290	1613
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	227	303	404
ავეჯი	1242	1380	1533
ინვენტარი	10302	11271	11828
სპეციალური ინსტრუმენტები	197	246	308
სატრანსპორტო საშუალებები	9862	12327	15409
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	636	795	993
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	8184	9658	11991
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	8789	9591	10502
სულ:	225981	235544	248328

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს საწარმო-საოფისე შენობის მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს. 2021 წლიდან მშენებლობა შეჩერებული იყო, რომელიც 2022 წელს არ განახლებულა.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 231 401 ლარს;

2021 წლის ბოლოს - 216 695 ლარს.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“	224	879	1005
FMG სადისტრიბუციო პროგრამა	1077	1490	1702
სულ:	1301	2369	2707

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 4 065 ლარი;

2021 წლის ბოლოს - 2 997 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	10319	18979	14931
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ			
სულ:	10319	18979	14931

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 9 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	24209	26611	6105
სულ:	24209	26611	6105

საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2021 წლის დეკემბრის თვეში, რომლის დეკლარირებაც მოხდა 2022 წლის იანვარში.

3.10. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
ბაზისბანკი სესხი №166816/004	465264	84893	82825
ბაზისბანკი სესხი №166816/006		157790	153715
ბაზისბანკი სესხი №166816/007	355473		
სულ:	820737	242683	236540

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიმდინარე გადასახდელი პროცენტები			
ბაზისბანკი სესხი №166816/004	2171	2885	3380
ბაზისბანკი სესხი №166816/006		355	607
ბაზისბანკი სესხი №166816/007	143		
სულ:	2314	3240	3987

ყველა მიმდინარე სასესხო ვალდებულებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილია. ეს გრძელვადიანი სესხები სრულად დაიფარა 2023

წლის თებერვლის თვეში, ამიტომ მათი დარჩენილი ნაწილი გადატანილი იქნა მოკლევადიან ვალდებულებებზე.

„ბაზისბანკიდან“ აღებული ყველა სესხი არის აშშ დოლარებში. 2022 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 303 751.51 USD-ს.

3.11. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ბაზისბანკი სესხი №166816/004	0	533383	654004
ბაზისბანკი სესხი №166816/006	0	126948	301192
სულ:	0	660331	955196

2022 წლის ბოლოს საწარმოს აღარ აქვს გრძელვადიანი სესხები.

3.12. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	552	20	20
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	46000		
სულ:	46552	20	20

2022 წლიდან საწარმოში დამფუძნებლების შემოტანილი თანხები განიხილება, როგორც მათ მიერ საწარმოსთვის გაცემული უპროცენტო სესხები. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ამ თანხამ შეადგინა 46 000 ლარი.

3.13. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	0	67000	25000
გაუნაწილებელი მოგება	815080	685957	554526
სულ:	815080	752957	579526

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს არ გაუნაწილებია დივიდენდები.

2022 წელს დაკორექტირდა მოგება საექვო ვალად აღიარებული დებიტორის მიერ 2019 წელს შემოტანილი თანხით 520 ლარი, ამიტომ 2022 წელს დაგროვილმა მოგებამ 814 560 ლარის ნაცვლად, შეადგინა 815 080 ლარი. ასევე 2022 წელს დამფუძნებლება

გაიტანეს დამატებით შეტანილი კაპიტალიდან 67 000 ლარი. საწარმოს კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგენს 815 080 ლარს.

3.14. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2022 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

	2022 წელი	2021 წელი
პროდუქციის რეალიზაცია	2103354	1856338
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1593513	-1326251
სულ:	509841	530087

3.15. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2022 წელი	2021 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	109970	58778
ვალის პატივით მიღებული შემოსავალი	5	
არასაოპერაციო მოგება ძს რეალიზაციიდან		2308
მსოფლიო პანდემიასთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი საშემოსავლო გადასახადში		8998
სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ზარალის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი		9375
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	552	1659
სულ:	110527	81118

3.16. საწარმოო და მიწოდების ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
საწარმოს ინვენტარის ხარჯები		-23
სხვა საწარმოო ხარჯები (თანამშრომლების დაზღვევა უზედურ შემთხვევაზე.)	-145	-404
საწარმოო სარემონტო ხარჯები		-34
რეკლამის ხარჯები	-51	-51
სხვა მიწოდების ხარჯები (დასუფთავების მოსაკრებელი)	-946	-959
სულ:	-1142	-1471

3.17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-208569	-214854
საპენსიო ფონდში გადასახადელი	-2423	-2458
იჯარის ხარჯები	-70323	-80339
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-4492	-4589
მიმდინარე სარემონტო ხარჯები	-4029	-2964
საწვავის ხარჯები	-12711	-8312
ცვეთა და ამორტიზაცია	-15774	-16822
საკომუნიკაციო ხარჯები	-2190	-2972
კომუნალური ხარჯები	-33388	-28219
საბანკო ხარჯები	-4125	-2558
საბანკო ხარჯები კონვერტაციის დროს	-1419	-2225
საკონსულტაციო ხარჯები	-9000	-9000
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-5398	-6107
სულ:	-373841	-381419

3.18. არასაოპერაციო ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
არასაოპერაციო ზარალი ძს რეალიზაციიდან	-40697	-30
საპროცენტო დანახარჯები	-69783	-84116
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-5214	-2461
საგადასახადო ჯარიმები და საურავები		-1
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-1087	-1002
სულ:	-116781	-87610

სხვა არასაოპერაციო ხარჯები შედგება დეკლარაციებში დარიცხული გადასახადების დამრგვალებებისგან და სხვა ჯარიმისაგან.

3.19. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2022 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 3 სექტემბერს.